

საქართველო

5
ს ე ქ ტ მ ბ ე რ ი
სამშაბათი,
1961 წ.
№ 186 (1772)
ბამცვივის 80-18 წელი.
ფასი 8 კაბ.



საპარტიზმოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

პენს წინაშე და მსახურებუ-
ლი მწვრთნელის ვ. ილურიძის მოხსენებითი ბარათი საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის გ. სიხარულიძის სახელზე ვითხოვლობ ბარათს და თვალს არ ვუჭერებთ, ნუთუ ყოველივე ეს მართალია, ნუთუ შეიძლება აღამიანი ასე შეიცვალოს მოკლე დროში?

— მოგახსენებთ რა ყოველივე ამას, პრეზიდიუმს ვთხოვ დახმარებას. მე აღბათ მართო ვერ შევქელი მისი სათანადოდ აღზრდა, ხასიათის ჩამოყალიბება. ამიტომ ვთხოვთ დახმარებას ვიდრე გვიან არ არის. — ასე ამთავრებს ვ. ილურიძე თავის მოხსენებითს ბარათს. ვისზე ჩივის მწვრთნელი, ვის ხასიათზე ლაპარაკი? ნუ გაუკვირდება მკითხველს: ლაპარაკი საბჭოთა კავშირისა და მსოფლიოს ჩემპიონზე თავისუფალ ჭიდაობაში.

ნენ ვ. რუბაშვილის წინააღმდეგ? ვ. რუბაშვილის ხასიათის ცუდმა მხარეებმა მთლიანად იჩინა თავი, როცა მან ერთ წელიწადში საბჭოთა კავშირისა და მსოფლიოს ჩემპიონობა მოიპოვა. ამ წარმატებამ მას თავბრუ დაახვია, დაარწმუნა, რომ იგი უკვე ყველაფრისმცოდნე და ყველაფრისშემძლეა, რომ მისი კარიერა ყველამ ანგარიში უნდა გაუწიოს, რომ მას ყველა საკანგებო პატივს უნდა სცემდეს და მის სურვილებს უსიტყვოდ ასრულებდეს.

ვ. რუბაშვილი იქამდეც მივიდა, რომ ბათუმში, სადაც მომდინარეობდა საქართველოს ნაკრები გუნდის მზადება პროფკავშირების საკავშირო სპარტაკიადისათვის, უარი განაცხადა თავის ამხანაგებთან დამის გათვებაზე და ცალკე სასტუმრო მოითხოვა. ამის შემდეგ მან დაუ-

გაუსწრო და ჩვენ მე-ნ აღვიღე გამოვედი.

მაგრამ ვ. რუბაშვილი ამაზე არ გაჩერებულა. თავისუფალ ჭიდაობაში შეცვია-საქართველოს მატჩისათვის მოკიდევთა შერჩევა გაკირდა, ვისაც მატჩში უნდა მიეღო მონაწილეობა, თბილისში არ აღმოჩნდა, ხოლო ვინც აღმოჩნდა, მათ შორის საიმედო მხოლოდ რუბაშვილი იყო. მაგრამ მან მატჩში მონაწილეობაზე უარი განაცხადა. უკანასკნელ დღემდე თხოვდნენ მას დახმარებას, იგი კი ჭკუტად იდგა თავისაზე. ასე ფეხქვეშ გათელა მოკიდევამ რესპუბლიკის ინტერესები.

აი რატომ გადაუწყვეტია „ბურვეტსნიკს“ უარი თქვას მასზე. აი რატომ ითხოვს დახმარებას ვ. ილურიძე, აღამიანი, რომელიც ვ. რუბაშვილს 12 წლიდან ზრდის, მთელ თავის ცოდნასა და ენერჯიას

რა შეედრება ქართული ჭიდაობის შნოსა და ლაშათს. ზურნის ცეცხლმეკიდებელ ხმაზე ისედაც დაუბოკავი ტემპერამენტის მქონე ორი მოკიდევე ყოველ ღონეს ხმარობს ილითა ორომტრიალში მოწინააღმდეგის ბეჭებზე დასაცემად. მიზანი მიღწეულია, მაგრამ წუთის წინ ერთმანეთის დაუნდობელი „მტრები“ ახლა ძმებავით ხელგადასველნი გამოდიან სარბიელიდან. ფოტო მ. ზარგარიანისა.

შეცვია-საქართველოს მატჩში რუბაშვილი შეცვალა ხოხაშვილმა და წარმატებითაც. მასხადამე, თუ რუბაშვილს „დასვენება“ გადაუწყვეტია, დე დაისვენოს. ჩვენი რესპუბლიკისათვის ჭიდაობაში მსოფლიო ჩემპიონი უცხო ხელი არ არის. ვინც ჩვენი ჭიდაობის სექციების მუშაობას ახლო გაიცნობს, დარწმუნდება, რომ კადრები გვე-

შეჭირებებში უნდა მონაწილეობა დეს ის სპორტსმენი, რომელიც რესპუბლიკის პირველობაზე გაიმარჯვებს და გუნდიც მხოლოდ მათგან დაკომპლექტდება. მაშინ, ვისაც საკავშირო პირველობაზე მონაწილეობის სურვილი აქვს, იძულებული იქნება რესპუბლიკურ პირველობაშიც მიიღოს მონაწილეობა, საერთოდ, საქირთა მოკიდევთა შორის გაძლიერდეს პოლიტაღმზრდელი მუშაობა. ეს პირველ რიგში მწვრთნელების საქმეა. მათ უნდა შეიგნონ, რომ სპორტსმენის მხოლოდ ტექნიკური სრულყოფა არ კმარა, აღზრდის ასეთმა სისტემამ ბევრჯერ გვაგმა სიმწარე, ჩვენ გვჭირდება სრულყოფილი სპორტსმენი, განათლებული, კულტურული, ნამდვილი მოქალაქე, პატრიოტი, თავისი აღმზრდელის, ამხანაგებისა და კოლექტივის პატივისცემული.

რაცოა ღიისკვა მსოფლიო ჩემპიონი

კითხვად შიატოვა ვარჯიში და თბილისში გამოემგზავრა თვითნებურად. შემდეგ ჩემპიონი კვლავ გამოცხადდა შეკრებაზე, მაგრამ ზერელედ უუპურებდა ვარჯიშს, ირონიული ღიმილით ხვდებოდა მწვრთნელის მითითებებს და როცა წვრთნა დამთავრდა, ცივი უარი განაცხადა მოსკოვში გამგზავრებაზე, არავის სიტყვა ყურად არ იღო და „განთიადის“ ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარეს ვ. ბოჟორიძეს უტიფრად მიახალა — რა მომეცით, რა გამიკეთეთ, რომ ჩემგან ამდენს მოითხოვთ.

სწორედ ვ. რუბაშვილისა და მისი ამყოლი სპორტსმენების წყალობით დაკარგა საქართველომ პროფკავშირების სპარტაკიადზე მეტად საქირო ქულები, ბელორუსიის კოლექტივმა მას მან ქულით

აქსოვს, რომ დიდ სარბიელზე გამოიყვანოს სპორტსმენი.

რესპუბლიკურმა სპორტკავშირმა განიხილა ვ. ილურიძის მოხსენებითი ბარათი, შეამოწმა ფაქტები, დადასტურა და საბჭოთა კავშირისა და მსოფლიოს ჩემპიონს ვ. რუბაშვილს, რომელმაც საზოგადოებრიობის პატივისცემა ვერ შეიფარა, გაუყოფიდა, გამოუცხადა სასტიკი საყვედური, გამოიყვანა საბჭოთა კავშირის ნაკრები გუნდის შემადგენლობიდან და ვაჯიფიხილა, თუ იგი მსგავს შემთხვევას გამოივრებს, მიღებული იქნება უფრო სასტიკი ზომები.

მაგრამ საქმე ამით არ თავდება. პროფკავშირების სპარტაკიადაზე ვ. რუბაშვილის გარდა არ მონაწილეობდნენ ისეთი მაღალი კლასის მოკიდევები, როგორებიც არიან ა. ქორიძე, რ. აბაშიძე, მ. ლულუშური. ისმის კითხვა: რად გვიწინაა უმაღლესი კლასის მოკიდევები, თუ ისინი რესპუბლიკის ინტერესებს არ დაიცავენ, რატომ ვზრდით მათ, რატომ შევუპურებდით იმედის თვლით ყოველ მათს წარმატებას? საერთოდ, „ვარსკვლავების“ საყურადღებოდ უნდა განვიცხადოთ, რომ ჩვენ ჭიდაობაში ისე არა გვაქვს საქმე, რომ მხოლოდ რუბაშვილსა და ქორიძეზე ვიყვეთ დამოკიდებულები. როგორც ვიცით,

ზრდება და ჩემპიონებიც არ მოგვაკლდება.

მაგრამ ყოველივე ეს არ ნიშნავს, რომ ჩვენ ვ. რუბაშვილს და მის მიმდევრებს ზურგი შევაქციოთ — განვიკეთოთ. არა. ისინი ჩვენს წიაღში აღზრდილები არიან, მათ მხოლოდ ახლა შედგეს დიდ სარბიელზე ფეხი და ჭიდაობის ფედერაციამ, სპორტულმა საზოგადოებრიობამ უნდა იზრუნონ იმისათვის, რომ ისინი შემოვებრუნოთ, გავწმინდოთ მათი ხასიათი მავნე ჩვევებისაგან. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ რუბაშვილს შეგნებული აქვს თავისი დანაშაულის სიმძიმე, ამიტომ უნდა დაეხმაროთ მას ვაქცევს ავსა და კარში, რომ მასზე კვლავ ამბობდნენ — „აი სამაგალითო სპორტსმენი!“.

დასასრულ ერთი საკითხიც. ჩვენთან რატომღაც ასე დაქანონდა, რომ არის მოკიდევთა ორი ჯგუფი — საკავშირო და რესპუბლიკური მანშტაბისა. პირველი ჯგუფი „ხელშეუხებელია“ და უცდის მხოლოდ იმას, თუ როდის გამოუძახებენ მოსკოვში მსოფლიო პირველობაზე ან სხვა დიდ საერთაშორისო შეჯიბრებაში მონაწილეობისათვის. რესპუბლიკური პირველობა მას შავსაშუალოდ მიჩნია და არ კადრულობს. ასეთ არანორმალურ მდგომარეობას ერთხელ და სამუდამოდ უნდა მოეღოს ბოლო. საქვეშირო

ნახევარწინალები

იანვარს XI ტურში კიდევ ერთი გარბულა II-III ადგილებზე გამსვლელთა ვინაობის დადგენა, ხოლო რაც შეეხება I ადგილს, იგი საბოლოოდ დაიკვიდრა ბოგნიძემ. თბილისელმა ოსტატმა უკვე მოსკოველ სტრანდტრემს 10 ქულით ახლა ყველაათვის უწევდომელია. XII ტურში მან იმით ითამაშა აუტსაიდერ შიკეისთან.

ამდენო ორ ადგილზე, რომელიც აგრეთვე თინაში მონაწილეობის უფლებას იძლევა, პრეტენდენტებს იცხადებენ მოსკოველი იგნაშვილი (8 ქულა), კიეველი იაკირი (7 ქულა) და ერთი გადადებული (6 ქულა). კუჩრევი ვადურა, ერეველი ლიაპუნოვა (7 ქულა თვის ქულა). XII ტურში ლიაპუნოვა მარცხდა ტიმოფეევსთან, ხოლო კუჩრევი-მიხილოვს, იაკირი-ჩეხნოვს, ვადურა-რუბცოვს პარტიები დამთავრდა ყვიმით.

ბოლისელ მანველოვს 3,5 ქულა აქვს. XI ტურში მან რუბცოვთან ყვიმით ითამაშა, ხოლო XII ტურში დამარცხდა სტრანდტრემთან, ხოლო მანველოვს 3,5 ქულა აქვს. XI და XII ტურებში კი

დევ უფრო გართულეს თინაისტთა გარკვევის საკითხი.

XI ტურში მხოლოდ ორი პარტია დამთავრდა. კაკაბაძე მოულოდნელად დამარცხდა მოსკოველ მატევევსთან. თბილისელი ოსტატის შანსები თინაში გასვლისათვის შეირყა, მაგრამ იგი არ დაბნეულა. მტკიცე ხასიათის მოკიდევმა მეთრე დღეს, XII ტურში გაანადგურა რიგელი ხაილოვა. კოზლოვსკიამ დამარცხა მალკინა. დანარჩენი პარტიები გადაიდო.

ტურნირში დარჩა მხოლოდ ერთი, XIII ტური, მაგრამ მანამდე უნდა დამთავრდეს ყველა გადადებული პარტია, რომლებიც საკმაოდ დაგროვდა.


XII ტურის შემდეგ ლიდერთა მდგომარეობა სატურნირო ცხრილში ასეთია: კოზლოვსკია — 9,5 ქულა, ვოიციკი — 8 ქულა და ერთი გადადებული პარტია, კაკაბაძე — 8 ქულა, რანიკუ — 7,5 ქულა და ორი გადადებული პარტია, გურდინელი — 7 ქულა და ერთი გადადებული პარტია, ჩაიკოვსკია — 6,5 ქულა და ორი გადადებული პარტია, მატევევა — 6 ქულა.

ბ. კასიმლანნი, ნახევარწინალების მსახი.

უნივერსიად

სოფლის ბაზრებზე, სადაც ერთი კვირის განმავლობაში „დულდა“ სპორტული ცხოვრება, ყველაფერი დამთავრდა, შეგამდა სტუდენტთა მსოფლიო სპორტული თამაშები, რომლებიც თითქმის ყველა სახეობაში საბჭოთა სტუდენტების უპირატესობით აღინიშნა. განსაკუთრებით კარგად გამოვიდნენ მძლეოსნები, რომლებმაც სამი შესწორება შეიტანეს მსოფლიო რეკორდების ცხრილში. ამ საქმეში ვ. ბრუმელს და თ. პრესს არ ჩამორჩა ტ. შიგელკანოვაც, მან ქალთა შორის სიგრძეზე ხტომაში აჩვენა 6 მ 49 სმ და 1 სანტიმეტრით გააუმჯობესა თავისივე მსოფლიო რეკორდი, რომელიც აშშ-საბჭოთა კავშირის

მძლეოსანთა მატჩზე დაამყარა. ხელით მოფარაკავთა შეჯიბრებაში ჩემპიონის ოქროს მედლები-სათვის ერთმანეთთან დამატებითი შეხვედრის ჩატარება დაჭირდათ უნგრელ პ. ბაკონის და საბჭოთა სპორტსმენს ნ. ასათიანს, რომლებსაც გამარჯვებთა თანაბარი რაოდენობა აღმოაჩნდათ. ამ შეხვედრამ გამარჯვება და ოქროს მედალი წილად აჩვენა უნგრელს, ხოლო ნ. ასათიანი ვერცხლის მედლით დაკმაყოფილდა. საბჭოთა სპორტსმენებმა სამშობლოში წამოიღეს მედლების ყველაზე მეტი რაოდენობა — 52, რომელთა შორის 21 ოქროსი და 23 ვერცხლის მედალია.



ბათამაშვილის ცხრილი

მდგომარეობა	სექტემბრისათვის	8	2	0	0
	თ. მ. წ. ქ.				
ცხაბ მოსკოვი	10	9	1	9	
„დინამო“ მოსკოვი	11	8	3	8	
„დინამო“ თბილისი	10	6	4	6	
სპიფი კიევი	7	5	2	5	
სპა რიგა	9	4	5	4	
„ბურ“ ლდ.	9	3	6	3	
„სპარტაკი“ ლდ.	9	1	8	1	
„შალბირისი“ კნ.	10	1	9	1	

ლენინგრადი. 2 სექტემბერი. აქ გაიმართა კალათბურთელთა საკავშირო შეჯიბრების მორიგი კალენდარული მატჩი. თამაშობდნენ ლენინგრადის „ბურვეტსნიკი“ და „სპარტაკი“. შეხვედრა მოიგეს სპარტაკელმა კალათბურთელებმა — 74:73 (38:31).

გუშინ სპორტის სასახლეში შედგა საერთაშორისო მატჩი კალათბურთში. თამაშობდნენ ჩეხოსლოვაკიის ექვსგუნის ჩემპიონი „სლოვან ორბისი“ (პრატა) და თბილისის „დინამო“. მატჩი დამთავრდა თბილისელთა გამარჯვებით — 71:66. შეჯიბრების ანგარიში იხ. შემდეგ ნომერში.

დ ი ა ლ ი მ ო მ ა ვ ლ ი ს პ რ ო ბ რ ა მ ა

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამის პროექტი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს მოზარდი თაობისა და ახალგაზრდობის სპორტში მასობრივად ჩაბმის საკითხებს. პროექტში აღნიშნულია: „პარტიას ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანად მიიჩნია უზრუნველყოს ფიზიკურად მაგარი ახალგაზრდა თაობის აღზრდა, დაწესებულებული სულ პატარაობიდან, და მათი ფიზიკური და სულიერი ძალების მარამონივლი განვითარება. ეს მოითხოვს ყველა სახეობის მასობრივი სპორტისა და ფიზიკური კულტურის ყოველი ღონისძიებით წახალისებას, მათ შორის სკოლებში, ფიზკულტურულ მოძრაობაში მოსახლეობის სულ უფრო ფართო ფენების, განსაკუთრებით ახალგაზრდობის ჩაბმას“.

ფიზიკური და ესთეტიკური აღზრდის მიზნით, როგორც პარტიის პროგრამის პროექტი მიუთითებს, სკოლებსა და სკოლისგარეშე დაწესებულებებში უნდა გაჩაღდეს ბავშვების შენეებლობა, მოეწყოს ტანვარჯიშული ღონისძიებები, სასპორტო ქალაქები, სათხილამურო ბაზები, საწყლოსნო სადგურები, აუზები და სხვა ნაგებობანი, აგრეთვე შენობები სპორტული სკოლებისა და ტურისტული ბანაკებისათვის.

მოსწავლე ახალგაზრდობის ყოველმხრივ განვითარებასთან დაკავშირებით პარტიის პროგრამის პროექტი მიუთითებს საშუალო სკოლებში სწავლების პროცესის იმდენად გარდაქმნაზე, რომ საშუალო სკოლა უზრუნველყოფდეს „ჩანსად მოზარდი თაობის ზნეობრივ, ესთეტიკურ და ფიზიკურ აღზრდას“.

პროგრამის პროექტის ამ ისტორიული ამოცანის გადასაწყვეტად წარმატებით იბრძვის საქართველოს პედაგოგიური და სპორტული საზოგადოებრიობა: საქართველოში დღეისათვის ბავშვთა და მოზარდთა 13 სპორტული სკოლაა, რომლებშიც მუშაობენ გამოცდილი მწვრთნელები. რესპუბლიკაში მუშაობს ბავშვთა 1.637 სპორტული ჯგუფი. 1960 წელს იმყოფებოდა 200 მოზარდი 105.000 ბავშვმა და მოზარდმა ჩააბარა, ხოლო სათანადო წარმომადგენელი — 55 ათასმა. აქედან ფიზკულტურულ საქმიანობაში ჩაბმულია 700 ათასამდე ბავშვი, რომლებიც 2.100-ზე მეტ სასკოლო ფიზკულტურულ კოლექტივში არიან გაერთიანებულნი. საბჭოთა კავშირის მასშტაბით ჩატარებულ პირველობებზე წარმატებით გამოდიან წარჩინებული ახალგაზრდები, ფეხბურთელები, მოკიდავები, ტანმოვარჯიშეები, მოფარაკავეები, ჩოგბურთელები, ფეხბურთელები. ბავშვთა შორის სპორტის მასობრივად გაშლის შედეგად საკმაოდ ამაღლდა სპორტული მაჩვენებლები. მოსწავლეთა საკავშირო სპორტკიადებზე საქართველოს ნაკრები მოწინავე ადგილებს იკავებს, ხოლო 1958 წელს პირველი ადგილიც დაიკავებდა.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამის პროექტში ფრთხილად აქვს შესწავლილი პროგრესული კაცობრიობის საუკეთესო იდეალები, კაცობრიობისა, რომელიც დღეისათვის მოითხოვდა ბავშვთა განვითარების განმტკიცებისა და ფიზიკური განვითარებისათვის ხელშეწყობას, თავის დროზე, ამხელდა რა ბურჟუაზიის სიხარბეს, ფრ. ენგელსის აღნიშვნა: „მოუტყვევებელია, რომ ბავშვების ის დრო, რომელიც მხოლოდდამხოლოდ მათი ფიზიკური და გონებრივი განვი-

თარებისათვის უნდა გამოიყენებოდეს, მსხვერპლად ეწირება გრძელბაზისილი ბურჟუაზიის სიხარბეს, ბავშვებს აკლემენ სკოლას და სუფთა ჰაერს, იმისათვის, რომ სწავრობდეს მათი ექსპლოატაცია ბატონი ფაბრიკანტების სასარგებლოდ“ (ფ. ენგელსი, მუშათა კლასის მდგომარეობა ინგლისში, 1956 წ. გვ. 145), ზრუნვა ბავშვთა განვითარებაზე უზრუნველ სამუშაოში არც ახლა იწვევს საზოგადოების მესვეურთა სინდისის ქექნას. წარმოებს შავკანიან ბავშვთა დისკრიმინაცია, შუასაუკუნეების მსგავსად ბავშვებს ჰყიდიან შავ ბაზარზე, აჩვენებენ სენსაციურ მოქმედებებს სპორტში, რათა მათი განვითარების გაუარესების ხარჯზე ახალ-ახალი მოგება შეიძინონ. ყოველივე ამასთან შედარებით კაცობრიობის სანუკვარ იმედად უდრს პროგრამის პროექტის სიტყვები „ეთიკური ბავშვისათვის ბედნიერი ბავშვობის უზრუნველყოფა კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის ერთ-ერთი ყველაზე დიდმნიშვნელოვანი და კეთილმოზილიური ამოცანაა“.

პარტიის პროგრამის პროექტი ყურადღების გარეშე არ სტოვებს სოფლის ახალგაზრდობის სპორტში ჩაბმის საკითხსაც. „შრომის მაღალი ნაყოფიერების მქონებით, — ნათქვამია პროექტში, — უკმაყოფილო კლემენტურად მდგომარეობა და კლემენტურები იცხოვრებენ ხანებით უზრუნველყოფილად... ისინი შეძლებენ ისარგებლონ სახალხოების, პურის საცხოვრების, სამრეცხაობის, საბავშვო ბავშვისა და ბაღების, კლუბების, ბიბლიოთეკების, სტადიონების მომსახურებით“.

გარკვეული წარმატებები ამაჟამად უკვე მოპოვებულია სოფლად ფიზკულტურისა და სპორტის დანერგვის საქმეში. სოფლის 2.300-ზე მეტ ძირულ ფიზკულტურულ კოლექტივში ამაჟამად 182.000-მდე კლემენტურ ფიზკულტურული ირიცხება. საკავშირო მასშტაბით თავი გამოიჩინეს ქართველი მოკიდავეები, ცხენოსნები, შტანგისტები, მოთხილამურეები. მაგრამ პროგრამის პროექტით გათვალისწინებული მიღწევების მოპოვება (ყოველ სოფელს — საკუთარი სტადიონი და სხვ.) ახალი ამოცანების წინაშე აყენებს საბჭოთა მეურნეობებისა და კლემენტურების ხელმძღვანელებს.

ახალგაზრდობისა და, საერთოდ, მოსახლეობის ფიზკულტურასა და სპორტში ჩაბმაც უზრუნველყოფს შიხისა და პროფკავშირების ღვიძლი საქმეა. ეს გარემოება ხაზგასმითაა აღნიშნული ჩვენი პარტიის პროგრამის პროექტში და ამ ორივე ორგანიზაციას დაკისრებული აქვს მეტად პასუხისმგებელი ამოცანები ახალგაზრდობის აღზრდისა და, კერძოდ, ფიზიკური აღზრდის დარგში. კომკავშირის პარტიის ეხმარება „მოაშადალს ყოველმხრივ განვითარებულ ადამიანთა თაობა“. კომკავშირი აქტიურად უნდა მონაწილეობდეს „ხალისიანი, შრომისმოყვარე, ფიზიკურად და ზნეობრივად ჩანსადი თაობის ფორმირებაში“. — მიუთითებს პროგრამის პროექტი, ხოლო ჩამოთვლის რა პროფკავშირების, როგორც კომუნისმის სკოლის, საერთო მოვალეობას, — პროგრამა მათ ერთ-ერთ მოვალეობად თვლის: „აუშუქებენდენ მშრომელთა კულტურულ მომსახურებასა და დასვენებას, ავითარებენ ფიზკულტურასა და სპორტს.“

საქართველოს პროფკავშირული ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოებები დღეისათვის ზრდიან სპორტის მასობრიობისა და სპორტსმენთა ოსტატობის დონეს. საქართველოს პროფკავშირებს აქვთ შესაძლებლობა ბევრი გააკეთონ. ისინი უფრო ღრმად უნდა იჭრებოდნენ წარმოება-დაწესებულებების ცხოვრებაში, სპორტულ მუშაობას შლიდნენ სამუშაოს მცირე რგოლშიც კი, წარმატებით ნერგავდნენ საწარმოო ტანვარჯიშს და ა. შ.

პარტიის პროგრამის პროექტში მთელი სიგრძე-სიგანითაა დასმული საკითხი ახალგაზრდობის მორალური აღზრდის შესახებ. პარტიის მთელი რიგი მითითებანი ამ მხრივ საბჭოთა პედაგოგებისა და მწვრთნელების პირდაპირი სახელმძღვანელო მასალაა სპორტსმენთა აღზრდის პროცესის მაღალ-იდეურ დონეზე წარმართვისათვის; კომუნისმის მშენებლის მორალური კოდექსში შემავალი მთელი რიგი ზნეობრივი პრინციპები, რაც პროგრამის პროექტშია აღნიშნული, ყოველდღიურად უნდა ინერგებოდეს ახალგაზრდა სპორტსმენთა ცხოვრებაში. კარგი პედაგოგი, კარგი მწვრთნელი გვერდს ვერ აუღებს პროგრამის პროექტში მოცემულ ისეთ ზნეობრივ პრინციპებს, როგორცაა:

— „კოლექტივიზმი და ამხანაგური ურთიერთდახმარება: ერთი ყველასათვის, ყველა ერთისათვის; — ჰუმანური ურთიერთობა და ურთიერთ პატივისცემა ადამიანთა შორის: აღმზიანი ადამიანისათვის მეგობარი, ამხანაგი და ძმია; — პატიოსნება და სიმართლე, ზნეობრივი სიწმინდე, უბრალოება და თავმდაბლობა საზოგადოებრივ და პირად ცხოვრებაში;

— ურთიერთპატივისცემა ოჯახში, ზრუნვა ბავშვების აღზრდისათვის“ და სხვანი.

პარტიის პროგრამის პროექტის ეს ადგილი ვგახსენებს ქართველ სპორტსმენთა შორის უკანასკნელ ხანებში მომხდარ ზოგიერთ არასასიამოვნო ფაქტს, საბჭოთა სპორტსმენისათვის შეუფერებელ საქციელს, რასაც ადგილი ჰქონდა მოკიდავების, ფეხბურთელების, მოფარაკავეების, ჩოგბურთელებისა და სხვა კოლექტივების შორის. ზემოხსენებული ზნეობრივი კოდექსი თვითუღმმა მწვრთნელმა ერთ წუთსაც არ უნდა დაივიწყოს აღზრდილებთან ურთიერთობის დროს. უნდა უნერგავდეს სპორტსმენს მაღალ იდეალებს, რაც დამახასიათებელი იქნება კომუნისტური საზოგადოების თვითუღმმა წევრისათვის.

ახალი ადამიანის ფორმირებაში, როგორც პარტიის პროგრამის პროექტი აღნიშნავს, უდიდესი როლი უნდა ითამაშოს კომუნისტური იდეების აგიტაციის ისეთმა საშუალებებმა, როგორიცაა პრესა, რადიო, კინო და ტელევიზია. ასეთი აგიტაციის მძლავრი ფორმებით სპორტი ჩვენს ქვეყანაში, კერძოდ, ჩვენს რესპუბლიკაში, აღმავლობის გზას უნდა დაადგეს, გაიზარდოს სპორტსმენთა რიგები, ამაღლდეს ოსტატობის დონე, სისტემატური ფიზიკური ვარჯიში უნდა დაშვიდრდეს საბჭოთა ადამიანის, მუშისა და კლემენტურის, მოსწავლისა და ინტელიგენტის ყოველდღიურ ყოფა-ცხოვრებაში. ამ მხრივ მეტად სასარგებლო მუშაობას ეწევიან რესპუბლიკური განვითარების განყოფილება და დასვენების, ავითარებენ ფიზკულტურასა და სპორტს.

ტულ ცხოვრებაზე, მასურებელს საკმაო სპორტულ სიუჟეტებს აწვდის სამეცნიერო-პოპულარული და ქრონიკალურ-დოკუმენტური ფილმების სტუდია, სასარგებლო მუშაობას ეწევიან ფიზიკური კულტურისა და პოლიტექნიკური ინსტიტუტების კინომოყვარულთა სტუდიები. სამაგიეროდ დიდი მუშაობის გაწევა მოუხდება კინოსტუდია „კინოტული ფილმი“ კოლექტივის, რომელსაც დღემდე არ შეუქმნიია სპორტულ თემაზე მაღალი გემოვნების მხატვრული ფილმი.

ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარება წარმოუდგენელია ფიზიკური აღზრდის წინაშე მდგომარეობის გარეშე. დიდი სპორტულ პრაქტიკას უნდა აწვდეს დიდებს და მის შემდგომ მიღწევათა გზებს უჩვენებდეს სათანადო თეორია, რომელსაც თავისი იდეური საფუძვლები მარქსისტულ-ლენინური მოძღვრებაზე ექნება დაყარებული. ამ მხრივ ფიზიკური აღზრდის საბჭოთა მუშაკებმა კონკრეტული ამოცანები უნდა მოძებნონ პარტიის პროგრამის პროექტის შემდეგ მითითებაში: „საბჭოთა მეცნიერების ღირსების საქმეა განუტკიცონ საბჭოთა მეცნიერებს მოპოვებული მოწინავე პოზიციები ცოდნის უმნიშვნელოვანეს დარგებში და დაიკავონ წამყვანი მდგომარეობა მსოფლიო მეცნიერებაში ყველა ძირითადი მიმართულებით“.

საქართველოს ფიზიკური კულტურის სამეცნიერო-საკვლევო და სასწავლო ინსტიტუტების კოლექტივებმა დღემდე დაამუშავეს ფიზიკური აღზრდის მთელი რიგი პრობლემები (საწარმოო ტანვარჯიში, აქტიური დასვენება, სპორტის სხვადასხვა სახეობის მეცნიერული საფუძვლები და ა. შ.), რომლებიც სარგებლობენ საბჭოთა კავშირისა და ევროპის მთელი რიგი ქვეყნების სპეციალისტები. მაგრამ წინ კიდევ მრავალი პრობლემა გადასაწყვეტი, ფიზიკური აღზრდის ქართველმა სპეციალისტებმა თავიანთ ღირსეული წვლილი უნდა შეიტანონ სამამულო მეცნიერების განვითარებაში, რათა ეს უკანასკნელი უფრო მტკიცედ დაშვიდრდეს მსოფლიოს ყველა ქვეყნის ფიზიკური აღზრდის მეცნიერებათა სათავეში.

როგორც ცნობილია, თანამედროვე პირობებში სპორტის გადაიქცა სხვადასხვა ქვეყნის ხალხთა შორის ურთიერთობის გაუმჯობესებისა და მშობის განმტკიცების ერთ-ერთ საშუალებად. მსოფლიო მასშტაბით ჩატარებული სხვადასხვა სპორტული ღონისძიება ხელს უწყობს ქვეყნად მშვიდობის წმიდადამყვან და საქმის დაცვას. პარტია ხაზგასმით მიუთითებს იმის შესახებ, რომ განხორციელდეს „ვაკრობის, კულტურული ურთიერთობის, მეცნიერ-

ბებისა და ტექნიკის დარგში საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარებას კურსს“. ცხადია, კულტურული ურთიერთობის ქვეყნებს შორის ურთიერთობა.

სულ უფრო იზრდება საბჭოთა სპორტსმენების საერთაშორისო შეხვედრების რიცხვი; ჯერ მარტო 1960 წელს უცხოეთში გაემგზავრა 399 სპორტული დელეგაცია, ხოლო 407 დელეგაცია. საქართველოს სპორტსმენები მონაწილეობას იღებენ საბჭოთა კავშირის ნაკრებ გუნდებში სპორტის 9 წამყვან სახეობაში. ისინი ჩვენს ქვეყნის სპორტსმენებთან ერთად წარმატებით იცავენ საბჭოთა სპორტის ღირსებას საერთაშორისო შეხვედრებში.

გრანდიოზული ამოცანები დასახული საბჭოთა ფიზკულტურული მოძრაობის წინაშე მიმდინარე შედეგებში: 1965 წლისათვის ფიზკულტურული რიცხვმა ჩვენს ქვეყანაში უნდა მოაღწიოს 50 მილიონს. ამავე წლისათვის უნდა მომზადდეს 13 მილიონი თანრიგოსანი სპორტსმენი, რომელთაგანაც 24 ათასი სპორტის ოსტატი იქნება. ამ დიდ ვალდებულებების შესრულებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს საქართველოს ფიზკულტურულ მოძრაობასაც. ჯერ მარტო 1960 წელს საქართველოში 213 სპორტის ოსტატი მომზადდა, ხოლო შედეგების ბოლოსათვის რესპუბლიკის სპორტული ორგანიზაციების მიერ უნდა მომზადდეს 1.289 სპორტის ოსტატი, 11.531 პირველთანრიგოსანი, 54.000 მეორე, 256.000 მესამე და 118.169 მთავარი თანრიგოსანი სპორტსმენი. 74 დამსახურებული სპორტის ოსტატი, 790 ოსტატი, 33 სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი, 7 საერთაშორისო კატეგორიის მსახი, 135 საკავშირო კატეგორიის მსახი, ასევე ათასობით სპორტსმენი და უფრო მეტი ფიზკულტურელი, — აი, რა მაჩვენებლებით ეგებება საქართველოს სპორტული საზოგადოებრიობა მშობლიური კომუნისტური პარტიის X XII ურილობას.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამის პროექტი სახავს ჩვენს ქვეყანაში ფიზკულტურული მოძრაობის ამაღლების ნათელ გზას. საბჭოთა მოზარდი თაობის ყოველმხრივი, მარამონივლი განვითარების დიად პერსპექტივებს. ამ ისტორიული დოკუმენტით აღფრთოვანებული საქართველოს ფიზკულტურელები და სპორტსმენები დაუღალავი შრომით თავიანთ წვლილს შეიტანენ მშობლიური პარტიის პროგრამის პროექტით გათვალისწინებული ამოცანების წარმატებულ გადაჭრის საქმეში.

ა. ციხაძე, საქართველოს ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის საერთო ფიზიკური მომზადების ფაკულტეტის დეკანი.

მ. ბოზვინიკი და ს. ფლორი ბაქოში

საბჭოთა საქართველო ფედერაციის გადაწყვეტილების შესაბამისად მსოფლიო ჩემპიონი მ. ბოტვინიკი და გროსმასტერი ს. ფლორი, რომლებიც უნდა შეხვედნენ ამერიკაშის რესპუბლიკის მოქალაქეებს, ეწვივნენ ბაქოს. გამოჩენილი მოჭადრაკეები აზერბაიჯანის დედაქალაქში სამი დღე დარჩნენ.

მ. ბოტვინიკმა და ს. ფლორმა წაიკითხეს საინტერესო ლექციები თემაზე „1961 წლის საქართველო პრობლემები“, რომლის დროს ლაპარაკობდა ხან ერთი, ხან მეორე ბოლოს მათ გასცეს პასუხები მრავალ შეკითხვაზე.

მეორე დღეს სტუმრები გაეცნვნენ ბაქოს ღირსშესანიშნაობებს, საღამოს კი გამართეს ერთდროული თამაშის სეანსი. მ. ბოტვინიკი ერთდროულად ეთამაშა 8 ოსტატსა და ოსტატობის კანდიდატს (თამაში მიმდინარეობდა საათებით). მსოფლიოს ჩემპიონმა 5 პარტია მოიგო და 3 ყამით დაამთავრა. ს. ფლორი 30 დაფაზე შეხვდა ქალაქის მოყვარულებს. გროსმასტერმა გარკვეულ 22 პარტიაში, ერთი წაიგო და 7 ყამით დაასრულა.

3 სექტემბერს მ. ბოტვინიკი და ს. ფლორი ერთგანში გაემგზავრნენ საიდანაც 6 სექტემბერს გაემგზავნებოდნენ თბილისში.

„ბ“ კლასში

„რიწა“ (სოხუმი) „ლოკომოტივი“ (გომელი) — 2:0

3 სექტემბერს სოხუმში თამაშობდნენ ამავე ზონის გუნდები: „რიწა“ (სოხუმი) — „ლოკომოტივი“ (გომელი).

სოხუმელმა ფეხბურთელებმა სწრაფი იერიშებით დაიწყეს თამაში, მაგრამ მათი თავდასხმა წააწყდა „ლოკომოტივის“ მცველთა ძლიერ წინააღმდეგობას. სტუმრებმა შეძლეს გამკლავებოდნენ ამ დაწოლას და მალე მდგომარეობაც გაათანაბრეს. მცირე ხანს შემდეგ რკინიგზელთა ცენტრალური თავდასხმელი ბახმუტოვი პირისპირ დარჩა „რიწის“ მეკარე თბილელაშვილთან. თავდასხმელმა მეკარეს ზემოდან გადაუგდო ბურთი და იგი ღია კარში გადიოდა, როცა უკანასკნელ მომენტში ბურთს მიუსწრო გიგავამ და ხსნა გუნდი გოლისაგან, მაგრამ ამ მომენტში თბილელაშვილმა ხელით დაიჭირა ბახმუტოვი. მსაჯმა უყოყმანოდ დანიშნა 11-მეტრიანი საჯარიმო.

ამ მიმოე სიტუაციაში თბილელაშვილმა შესანიშნავი ნახტომით აიღო ძლიერად დარტყმული პენალტი და გამოასწორა თავისი შეცდომა. აღნიშნული მომენტიდან დაწყებული მასპინძლები კიდევ უფრო ენერგიულად და მონდომებით უტევდნენ მოწინააღმდეგეს და 35-ე წუთზე ჩიხლაძემ კარგად გამოიყენა ლოკომოტიველთა დაცვაში დაშვებული შეცდომა — 1:0.

მეორე ტიმიში „რიწის“ თავდასხმელები კვლავ შეუჩერებლად უტევდნენ სტუმართა კარს. ერთ-ერთი შეტევისას დაინიშნა საჯარი-

მო დარტყმა, რომელიც ზუსტად გამოიყენა გრამატიკოპულომ — 2:0.

დარჩენილ დროში ორივე გუნდის კართან შეიქმნა რამდენიმე სახიფათო მომენტი, მაგრამ ანგარიში 2:0 სოხუმელთა სისარგებლოდ მატჩის ბოლომდე არ შეცვლილა.

ზ. ბილაშვილი

„დინამო“ (ბათუმი) „პრ. ზნამია“ (ვიტებსკი) — 1:0

სეზონის დასაწყისში განცდილ მთელ რიგ წარუმატებლობათა შემდეგ თანდათან ფორმაში შედის ბათუმის „დინამოს“ კოლექტივი. 3 სექტემბერს ბათუმელებმა თავიანთ მინდორზე მიიღეს ვიტებსკის ძლიერი გუნდი და დაამარცხეს იგი ანგარიშით 1:0. ეს ბათუმელთა მე-ხუთე გამარჯვებაა ზედიზედ.

დინამოელებმა თავიდანვე ხელთ აიღეს ინიციატივა, მაგრამ აშკარად საგრძნობი იყო, რომ ამ დღეს თავდასხმაში არ თამაშობდა აქტიური ფორვარდი პატარაია (მან ტრავმის გამო ვერ მიიღო მონაწილეობა თამაშში). იგი შეცვალა მინსიანამა, რომელიც უკან იყო დაწეული და ფაქტიურად მესამე ნახევარმცველის როლს ასრულებდა. ბათუმელები მოკლე, ხშირი გადაცემებით თამაშობდნენ მინდორის შუაგულში, რაც „პრ. ზნამიას“ დაცვას უადვი-

ლებდა ბრძოლას ვადამწყვეტ მომენტებში. გუნდები შესვენებაზე წავიდნენ ისე, რომ ანგარიში არ გახსნილა — 0:0.

გოლი, რომელმაც ბათუმის „დინამოს“ მოუტანა გამარჯვება, გატანილი იქნა მეორე ტიმის პირველივე წუთზე: დანელია სწრაფად გავიდა პირთ ხაზზე და მოჭრილი ბურთი გაგზავნა კარის შორეულ კუთხეში. ეს მოხდა იმდენად მოულოდნელად და სწრაფად, რომ მეკარე სტაროვიტოვმა ვერც მოასწრო რეაგირება — 1:0. ამის შემდეგ დინამოელები კიდევ უფრო მეტი მონდომებით თამაშობდნენ, მაგრამ აქ კიდევ ერთხელ იჩინა თავი თავდასხმელთა არახელსამართლებლობა კარში. მათ ვერ გამოიყენეს რამდენიმე ხელსაყრელი



მდგომარეობა და გუნდი დასკვნა და მინიმალური ანგარიშით — 1:0.

„მეტალურბი“ (რუსთავი) „ტემპი“ (სუმგაითი) — 4:2

განვლილ შაბათს რუსთავში შედგა მორიგი მატჩი სსრ კავშირის პირველობაზე ფეხბურთში „ბ“ კლასის II ზონის გუნდებს შორის, ადგილობრივმა „მეტალურგმა“ მიიღო სუმგაითის „ტემპი“.

რუსთავის ფეხბურთელებმა საუცხოოდ დაიწყეს თამაში. გუნდი მოქმედებდა მაღალ ტემპში, სწრაფად და ყურადღებით. მატჩის დასაწყისში ნაროზაშვილმა კარგად გამოიყენა სტარტის მეკარისა და მცველების შეცდომა და ზუსტად დარტყმით გახსნა ანგარიში. ამ წარმატების შემდეგ მასპინძლებმა კიდევ უფრო გააძლიერეს შეტევა და ტიმის დასასრულამდე სამეტი ზედონდელი აიძულეს მოწინააღმდეგე ცენტრიდან დაეწყო თამაში — 4:0.

მეორე ტიმიში სუმგაითელებმა გაქვიფეს ორი გოლი და მატჩი დამთავრდა „მეტალურგის“ გამარჯვებით ანგარიშით 4:2.

ი. ბურბულაძე

* * *

სურათში: ბათუმისა და ვიტებსკის გუნდების მატჩის მომენტი. ფოტო ა. ტულუშისა.

თბილისი. „ბურვესტიის“ სტადიონი. 3 სექტემბერი. „დინამო“ (თბილისი) — „დინამო“ (კიევი) — 0:1 (0:1). „დინამო“ (კიევი): მაკაროვი; კოლცოვი, შჩეგოლოვი, შჩერბაკოვი; ვოინოვი, ტურჩინიკი; ბიბა, სერბოვანიკოვი, კანეცკი, ტროიანოვსკი (საბო), ლობანოვსკი. „დინამო“ (თბილისი): კოტრიკაძე; ბ. სიჭინავა, ჩოხელი, ხოჭოლაძე; გ. სიჭინავა, ხელაძე; დათუნაშვილი, ბარჭია, კალოევი, იამანიძე, მესხი. მსაჯი ე. კლავსი (რიგა).

გამოუყენებელი უპირატესობა

ძნელია გაუკეთო ანალიზი მატჩს, სადაც ერთ გუნდს აბსოლუტური უპირატესობა აქვს 90 წუთის განმავლობაში, მოწინააღმდეგე თითქმის მიჯაჭვული ჰყავს მის საჯარიმო მოედანზე, რომლის ფარგლებში თვლია არა აქვს არა მარტო ე. წ. სახაფათო მომენტებს, არამედ გოლის გატანის უპეველ, 100-პროცენტის შესაძლებლობებს, მაგრამ მინდორიდან საბოლოოდ გამარჯვებული მიდის ის, ვინც ყრუ დაცვაში იჯდა, ხოლო იგი, ვინც გამარჯვების ღირსი იყო, თავჩაქინდრული ჩადის გასახდელში.

ჩვენ არაერთხელ ვყოფილვართ იმის მოწმე, რომ თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელებს სერიოზული უპირატესობით ჩაუტარებიათ თამაშები, მაგრამ ამ უპირატესობის პრაქტიკული რეალიზაცია ვერ მო-

უხერხებით და მხოლოდ მინიმუმს დასჯერებდნენ, მაგრამ განვლილი მატჩი ამ შემთხვევაში კი გამოიყენეს წარმატებულად. მას მხოლოდ თასის შარშანდელი ფინალური მატჩი შეიძლება შეეფუძროთ, სადაც ასევე უმოწყალოდ იკარგებოდა უამრავი მომენტი და თბილისის „დინამო“ შუა მინდორზე მოგებულ მატჩს აგებდა კარის სიახლოვეს.

რა თქმა უნდა, მოუჩინებელი საყვედურის ღირსია მსაჯი ე. კლავსი, რომელმაც მე-3 წუთზე ვერ გახედდა დაინიშნა კიეველთა კარში აშკარა და უადვი 11-მეტრიანი საჯარიმო. კარის სიახლოვეს მართლმართო გასული მესხი მცველმა ხელთ დაიჭირა უკნიდან და კარგა ხანს ჰყავდა იგი ასე ჩაბღუჯული. ეს იყო პენალტი, რომელიც

თვალსაზრისით ნამუშაოდ გამოდგებოდა დამწყები მსაჯებისათვის, მაგრამ ე. კლავსმა ყოველგვარი რეაგირების გარეშე უყურა ამ „დაპერობას“ და... გააგრძელა თამაში. ზუსტად ერთი წუთის შემდეგ ბიბამ მარჯვენა ფლანგადან ძლიერად დარტყა კარში, კოტრიკაძემ შეცდომა დაუშვა ადგილის შეარჩევაში და ბურთი შეუფერხებლად ჩაეშვა შორეულ კუთხეში — 1:0.

ამ გოლის გაქვიფისათვის იბრძოდა თბილისის „დინამო“ დარჩენილი 85 წუთის მანძილზე. თუ პირველ ტიმიში თამაშს ასე თუ ისე ჰქონდა ორმხრივი იერიშების ხასიათი, მეორე ტიმიმ საერთოდ კალ კარში ჩატარდა. კიეველთა მხარეს გაუთავებლად ინიშნებოდა კუთხური დარტყმები, საჯარომო-

1-1 აღვლივაი

მდგომარეობა 5 სექტემბერისათვის

Table with 5 columns: Team Name, Goals, Assists, Shots, Saves. Lists teams like 'ბორჯომი' and 'დინამო' with their respective statistics.

1 აღვლივაი

Table with 5 columns: Team Name, Goals, Assists, Shots, Saves. Lists teams like 'დინამო' and 'ნეფტჩინიკი' with their respective statistics.


სტადიონი. 3 სექტემბერი. აქ შედგა მეტად საინტერესო მატჩი კავშირის პირველობაზე ფეხბურთში დედაქალაქის გუნდებს — „ლოკომოტივს“ და ცხკა-ს შორის. რკინიგზელებმა საუკეთესოდ დაამარცხეს მოწინააღმდეგე ანგარიშით 4:0.

ჩატარდა მორიგი ტურის მატჩები „ა“ კლასის მეორე ათეულში მყოფ გუნდებს შორის. მოგვყავს მათი ტექნიკური შედეგები: „ადმირალტეცი“ (ლენინგრადი) — „დინამო“ (მოსკოვი) — 1:2, „მოლოდოვა“ (კიშინოვი) — „სპარტაკი“ (ვილნიუსი) — 3:1, „დაუგავა“ (რიგა) — „ნენიტა“ (ლენინგრადი) — 0:2, „ბრული“ (ვორონეჟი) — „კაირატი“ (ალმა-ატა) — 1:0.

„კალევა“ (ტალინი) თავის მინდორზე მოუგო სტალინის „შახტიორს“ — 1:0.

თბილისელი ჯადრაკის მოყვარულები ნ. მარსაგი-
შვილი, თ. ადამაშვილი და დ. ჩუბინიძე გვეყვებიან:
როცა პაიკი მიაღწევს ბოლო ჰორიზონტალს და არ იქ-
ნება შეცვლილი რომელიმე ფიგურით, ჩაითვლება თუ
არა იგი მკვლარად?

ჯადრაკში არ არსებობს მკვლარი პაიკი. პაიკი, რო-
მელიც მიაღწევს ბოლო ჰორიზონტალს, აუცილებლად
უნდა გარდაიქმნას რომელიმე ფიგურად. თუ რომელ
ფიგურად, ამის შესახებ არ კმარა სიტყვიერი განცხა-



დება ან ბლანკზე ჩანაწერი, საჭიროა დაფასე დაიქვას
არჩეული ფიგურა. ყველაფერი ეს წერია „საბჭოთა
კავშირის საჯარო კოდექსში“.
მაგრამ არის მეტად იშვიათი შემთხვევა, როცა ზო-
გიერთი გასულ პაიკს არ შეცვლის ფიგურით. ასეთ
შემთხვევაში მოწინააღმდეგე ვერ გააკეთებს საპასუხო
სვლას, რადგან პარტიორის სვლა არ არის დასრულები-
ბული, მაგრამ თუ მაინც გააკეთებს სვლას, მაშინ ე-
ნიშნავს, რომ იგი თანახმაა „გადასვლას“ ნებისმიერ
რი ფიგურა.

უცვლელ ზამთარს, ახალი წლის დადგომის წინ

უცხოეთის ბევრი სა-
გენტო და გაზეთი ატარებს ან-
კეტას: „ვინ არის წლის უველაზე
ძლიერი სპორტსმენი“. ემილ ზა-
ტოპეკი, ვლადიმერ კუცი, პეტერტ
ელიოტი, ვასილი კუზნეცოვი, ვი-
ლმა რუდოლფი — ეს სახელები
აღინიშნებოდა პირველ რიგში.
ზამთარი ჭერ კიდეც შორსაა, მა-
გრამ № 1 კანდიდატად „წლის საუ-
კეთესო სპორტსმენის“ ტახტზე შეი-
ძლება გახედულად დავასახელოთ
ვალერი ბრუმელი. 19 წლის მოს-
კოველი სტუდენტის ამერიკელ ჯონ
თომასთან შესანიშნავი დუელი, მი-
სი გამარჯვებები მსოფლიოს ბევრ
სტადიონზე, დაძაბულობითა და დრა-
მატიკით უჩვეულო ბრძოლა მსო-
ფლიო რეკორდების დაპყრობისათ-
ვის — ყველაფერმა ამან ბრუმელი
აიყვანა სპორტული დიდების უმაღ-
ლეს საფეხურზე.

ბრუმელის დიდების ჩრდილში
ყველა როდი შენიშნავს საშუალო
ტანის, გამხდარ ადამიანს. ესაა
მწვერთელი ვლადიმერ დიაჩკოვი,
რომლის დამახსოვრებათა სია ძალ-
ზე მდიდარია. ვ. დიაჩკოვზე ჩვენ
მოგითხრობთ მოკლედ.

თავის დროზე იგი იყო ერთ-ერთი
საუკეთესო ჭოკით მხტომელი. მისი
არამიული რეკორდის გაუმჯობესება
ორი ათეული წლის განმავლობაში

ვერავინ შეძლო. შესანიშნავმა პე-
დაგოგმა და სპორტსმენმა ზედმი-
წევნით შეისწავლა სიმაღლეზე ხტო-
მის საიდუმლოება და მწვერთელი
გახდა. მან აღწარდა ათასობით
მკლეროსანი და სიმაღლეზე ხტომის
საბჭოთა სკოლა შექმნა.
ამისათვის მას მოუხდა გამხდარი-
ყო მათემატიკისი, ფიზიოლოგი, ბი-
ოქიმიკოსი, რომელთა დაუფლებას
მრავალი წელი მოუხდა. მისმა დაუ-
ღალავმა შრომამ გამოწარმოა სიმაღ-
ლეზე მხტომელთა მთელი ჯგუფი.
57 წლის ვლადიმერ დიაჩკოვის
აღწარდა ვალერი ბრუმელიც.

ეს ლუგანსკელი მოსწავლე დიაჩ-
კოვთან მოვიდა გასული წლის იან-
ვარში. იგი 2 მეტრზე ხტებოდა, მა-
გრამ ამას აკეთებდა უხერხულად,
შესაფერისი ტექნიკის გარეშე. დია-
ჩკოვმა ნახა ბრუმელის ხტომები და
თქვა: „რომში იგი 216 სანტიმეტრ-
ზე გადახტება“. მწვერთელის ამ ნა-
თქვამზე ბევრს გაეცინა. ხუმრობა
იყო? საუკეთესო ოსტატები წლების
განმავლობაში თითო სანტიმეტრს
უმატებენ და უცბად 16 სანტიმეტ-
რი? მაგრამ 1 სექტემბერს შედე-
გით — 2 და 16 სანტიმეტრი ვალე-
რი ბრუმელმა მოიპოვა ოლიმპიური
ვერცხლის მედალი.

წვრთნის პირველ პერიოდში დი-

როგორ იხადებოდნენ ვ. ბრუმელის
რამკორდები

აჩკოვმა შეისწავლა ბრუმელი, მიხ-
ვდა თუ როგორ უნდა დაოსტატებუ-
ლიყო მომავალი მსოფლიო რეკორ-
დსმენი. ამიტომ მან თავიდანვე და-
აწყებინა ლუგანსკელ მოსწავლეს სი-
მაღლეზე ხტომა.

ბრუმელის ოლიმპიადის შემდგომი
წარმატებები ყველასათვის ცნობი-
ლია და მისი ხელახლა ჩამოთვლა სა-
ჭიროებას არ მოითხოვს. უკეთესი
იქნება გავისხენოთ ჩვენი წერილის
ქვესათაური. მას ასე, როგორ იქე-
დებოდა ბრუმელის რეკორდები?

მწვერთელი და სპორტსმენი მათ
აშინალებენ სტადიონზე, სახლში და
ინსტიტუტში. დავიწყოთ ინსტიტუ-
ტიდან. სიმართლე უნდა ვთქვათ,
რომ ბრუმელს ხტომა უფრო იტა-
ციებს, ვიდრე გამოცდების ჩაბარე-
ბა. ქიმიკა და ანატომია მან ხტომის
გაცილებით ცუდად, ვიდრე ხტომის
ტექნიკა, მაგრამ სპორტი ხომ პრო-
ფესია არაა! დიაჩკოვი თვალს ადევ-
ნებს თავის მოსწავლეს. მან იცის:
ვალერი შეუპოვარი, ოღნავ ფიცხი
ქაბუკია და მწვერთელი მასწავლე-
ბლებს ეუბნება: „გამოსცადეთ მკა-
ცრად“. ძლიერდება და ვაჟაკდებ-
ბა სპორტსმენის ხასიათი. დიაჩკო-
ვი მას ზრდის ყოველდღიურად,
ყოველ წუთს. მისცემს კარგ წიგნს,
როცა საჭიროა გაუწყრება, შექება-
ში სიძუნწეს იჩენს, მაგრამ საჭირო
წუთებში წახალისებს.

შინაარსისა და ხანგრძლიობის,
აგრეთვე დაძაბულობის მხრივ ვარ-
ჯიშები სხვადასხვაგვარია: ერთი
ნახევარ საათს გრძელდება, მეორე —
2 საათზე მეტს, ერთზე იგი მსუბუ-
ქად გაღის კროსის დისტანციას,
მეორეზე — კომავს შტანგის ტონო-
ბით სიმძიმეს. ზოგჯერ იგი სულ არ
მიღის თამასთან, ზოგჯერ კი შე-

უსვენებლივ ხტება სხვადასხვა სი-
მაღლეზე. დიაჩკოვმა აღმოაჩინა,
რომ ძალოსნური შტანგა და მოხ-
ტუნავის მსუბუქი თამასა ღვიძლი
ძმებია. როგორც ძალოსანი, ისე
მოხტუნავე სულ მცირე დროის გა-
ნმავლობაში ასრულებენ ტიტანურ
მუშაობას. ერთს გაკვირულ ხელმძღვ-
აქვს უდიდესი სიმძიმე, მეორეს კი
— საკუთარი სხეული. შტანგა ან-
ვითარებს ყველა ჯგუფის კუნთებს,
რომლებსაც მოხტუნავე გადაჰყავს
თამასაზე, შტანგა ასწავლის მოღუ-
ნებას, რომლის გარეშე წარმოუდგე-
ნელია მაღალი შედეგების მოპო-
ვება.

არანაკლებ საჭიროა სისწრაფე.
ბრუმელი სპორტული სიჩქარით
გაღის დისტანციას დისტანციად.
მისგან კარგი სპრინტერი გამოვი-
დოდა: 100 მეტრი — 10,8 წამი.
ბრუმელი არანაკლებ ფლობს მძლე-
ოსნობის სხვა სახეობებსაც. სიგ-
რძელზე ხტება 7,46 მეტრ-
ზე, ბირთვის ჰკრავს 14,50 მეტ-
რზე, ბადროს ტურცინს 44
მეტრზე. ზამთარში იგი დაიწევს
ჭოკით ხტომაში ვარჯიშს და დია-
ჩკოვი დარწმუნებულია, რომ მისი
აღწარდილი საგანგებო მომზადების
გარეშე დაძლეოს 4,40 მეტრს.

წვრთნაზე ბრუმელი ძალზე სე-
რიოზულია. იგი არც ერთ მოძრა-
ობას არ გააკეთებს, თუ არ ესმის
მისი აზრი და დანიშნულება. მო-
თელვის შემდეგ ბრუმელი გარბენს
აკეთებს, შემდეგ გადაევლება თა-
მასას, მოისმენს მწვერთელის შენიშ-
ვნებს. კიდეც ერთი ნახტომი — 2
მეტრი, შემდეგ 205, 207, 211 და
213. უფრო მაღალი სიმაღლეების
დაძლევაზე ბრუმელი არ ვარჯი-
შობს. შემდეგ იწყება შეცდომათა
გარჩევა. გარბენის რიტმი და ჰაერ-
ში ავარდნა ჭერ კიდეც ცუდადაა
ათვისებული.

რა სიმაღლის ალბა
შეუძლია ბრუმელს? ვ.
დიაჩკოვი პასუხობს:


— ამ სეზონში მას შეეძლო და-
ეძლია 2,80, მაგრამ ფიქტობს, სა-
ჭირო არაა ამ შედეგის ფიქსირება.
ეს პროცესი უნდა გავვიმოთ ტო-
კიომდე. უკვე მომავალ წელს ბრუ-
მელი მკიდროდ მიუახლოვდება ამ
ზღვარს, ხოლო ოლიმპიურ წელს
გადალახავს კიდეც მას. საერთოდ
მას, შეუძლია დაიპყროს 2,85 სმ.

ერთმა ცნობილმა მწვერთელმა
თქვა: „ჯონ თომასი დიაჩკოვის
ხელში ამერიკელებს ეხსნიდა ბე-
რი უსიამოვნებისაგან“. ეს ხუმრო-
ბა დრმა აზრს გამოხატავს — რე-
კორდს ამყარებს არა მარტო სპო-
რტსმენი...

ამიტომ, როცა თქვენს ალტაცე-
ბას გამოთქვამთ ვალერი ბრუმე-
ლის ახალი მსოფლიო რეკორდი,
თუ შეიძლება, გაიხსენეთ საშუალო
ტანის გამხდარი ადამიანი, რომე-
ლიც მორიდებით დგას სახელმო-
ხვეპილი მოხტუნავის დიდების
ჩრდილში.

ა. გორისონი,
პრესის სააგენტო „ნოვოსტი“.

რედაქტორი ი. უგულაშვილი.



ლინდონი. როგორც პოლონე-
თის დეპუტატი სააგენტოს კორეს-
პონდენტი იუწყება, ინგლისის დე-
დაქალაქში ოფიციალურად გამო-
ცხადდა, რომ თავისი სპორტული
კარიერა დაამთავრა მსოფლიოში
ცნობილმა მძლეოსანმა, მრავალ
საერთაშორისო შეჯიბრებაში გამა-
რჯებულმა გორდონ პირიმ.

სოფია. ბულგარეთში გასტრო-
ლებზე იმყოფება ბოლივიის ჩემპი-
ონი უეზბურთში „ალვეს რიადი“. პირველი მატჩი მას ჰქონდა ბულგა-
რეთის მრავალგზის ჩემპიონ ცდნა-
სთან. ბულგარელმა არმიელმა
გამანადგურებელი დამარცხება მი-
ყენეს მოწინააღმდეგეს — 8:0. მე-
ორე მატჩი ბოლივიის ჩემპიონმა
ასევე დიდა ანგარიშით წააგო „ჩო-
რნოე მორესთან“ — 1:4.

აქვე შედგა მატჩი ბულგარეთის
ჩემპიონ ცდნა-სა და რუმინეთის
ჩემპიონ კეა-ს შორის, რომელიც

გოქიოს ფიზიკანაგზე

იაპონიის დედაქალაქში ჩატარ-
და შტანგისტთა შეჯიბრება. ხოსეის
უნივერსიტეტის სტუდენტმა, მიატე
წონის ძალოსანმა ი. მიიაკენემ აქი-
მა 102,5 კგ. აატალა 110 კგ და
აკრა 135 კგ. სამპილში მოაგროვა
347,5 კგ და დაამყარა ახალი მსო-
ფლიო რეკორდი. ძველი რეკორდი
ეკუთვნოდა ვ. სტოგოვს და უდ-
რიდა 345 კგ-ს.

უშედეგოდ დამთავრდა — 0:0.


ლიუხსენსბურგი. აქ ჩატარდა
მსოფლიო ჩემპიონატი 500 კმ მო-
ტორისში. პირველი ადგილი დაი-
კავა სტენ ლუნდინმა (შვედია).

ჰინა. დამთავრდა საერთაშო-
რისო ტურნირი ფეხბურთში, რო-
მელშიც სხვადასხვა ქვეყნის უძლი-
ერესი გუნდები მონაწილეობდნენ.
გადამწყვეტ მატჩში ერთმანეთს
შეხვდნენ „ლინაპო“ (ზაგრები) და
საფრანგეთის ექს-ჩემპიონი „სენტ-
ეტენი“. გაიმარჯვეს იუგოსლავე-
ბმა — 3:1.

პრატა. ჩეხოსლოვაკიის დედა-
ქალაქში ამჟამად იმყოფება 25
სპორტსმენი აფრიკის სხვადასხვა
სახელმწიფოდან. ისინი გამოვლენ
ფეხბურთისა და მძლეოსნობის
მწვერთელები. აფრიკელ სპორტს-
მენებს ამეცადინებენ ჩეხოსლოვა-
კიის გამოჩენილი სპეციალისტები.

მილანი. ერთმანეთს შეხვდ-
ნენ იტალიისა და შვეიციის ნაერები
გუნდები ჩოგბურთში. გაიმარჯვეს
იტალიელებმა ანგარიშით 2:1. დიდი
ინტერესი გამოიწვია შეხვედრამ
შერეულ წყვილთა შორის. იტა-
ლიელებმა ნიკოლა პეტრანჯელიმ
და ორლანდო სიროლამ ძლიეს
ერიკ ლუნდკვისტსა და თომას პალ-
ბერგს — 6:3, 3:6, 6:3, 6:1.

ჰინა. აქ სამი საერთაშორისო
მატჩი ჩატარა გერმანიის დემოკრა-
ტიული რესპუბლიკის ყოფილმა
ჩემპიონმა ფეხბურთში „ვისმუტმა“. მან მოუგო ქ. ზალცბურგის ნაერებს
(2:1), საფრანგეთის ყოფილ ჩემ-
პიონს „სენტ-ეტენს“ (3:1) და წა-
აგო ვენის „აღმირასთან“ (2:4).



7-8
საქტაგებრი
სეზონის
(7 X 7)

დანია-
(მსოფლიოს მას-ჩემპიონი)
საქართველო
(ვაჟები და ქალები)
დასაწყისი 19 საათზე.

დღეს
პრატა-
თბილისი

33333
დასაწყისი 19 ს. 30 წ.

კალათბურთი

გაზეთი გამოდის სამშაბათობით, ოთხშაბათობით, ხუთშაბათობით, შაბათობითა და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12.
დეკემბრისათვის — თბილისი, „ლელო“. ტელეფონები: რედაქტორის — 8-89-62, პასუხისმგებელი მდივნისა და განყოფილებების — 3-90-34, გამოშვების — 3-01-06.

საქართველოს კ. ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 02645